



იურისტების სამყარო

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა
და სამართლის ინსტიტუტი

ოთარ გამყრალიძე

სისხლის სამართლის პრობლემები

II ტომი

თბილისი, 2013
გამომცემლობა „იურისტების სამყარო“



ავტორისაბან

ჩემი სამეცნიერო ნაშრომების მე-2 ტომში შედის ორი მონოგრაფიული გამოკვლევა. პირველი მათგანი „პროფესიული ფუნქციის შესრულება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის 1975-76 წ. წ. სამეცნიერო კვლევითი გეგმით იყო შესრულებული. ეს ნაშრომი აქ პირველად ქვეყნდება.

მეორე ნაშრომი — „სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი“ პირველად 1989 წ. დაიბეჭდა. ამ ნაშრომის საფუძველზე 1994 წ. მე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მომიენიჭა.

ორივე ნაშრომი ამ ტომში უცვლელად ქვეყნდება.

მინდა მადლობა ვუთხრა თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის თანამშრომელს თემურ ცქიტიშვილს, რომელმაც ამ ტომში შესული პირველი ნაშრომი — „პროფესიული ფუნქციის შესრულება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება“, ჩემს სხვა ნაშრომებთან ერთად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქივიდან ამოიღო და მისი გამოქვეყნების შესაძლებლობა მომცა.

წიგნი გამოიცა საერთაშორისო სამართლებრივი თა-ნამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

Dieses Buch wurde mit finanzieller Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) verlegt.

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას საავტორო უფლებების მქონე სუბიექტების წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© ოთარ გამყრელიძე, 2013

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2013

ISBN 978-9941-9355-2-7



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

E-mail: Lawyers.world@yahoo.com;

<http://www.facebook.com/lawyers.world>

**პროფესიული ფუნქციის შესრულება,
როგორც მართლწინააღმდეგობის
გამომრიცხველი გარემოება**

შინაარსი

შესავალი	5
პირველი თავი	11
მართლწინააღმდეგობის პრობლემა გერმანული	11
სისხლის სამართლის მეცნიერებაში	11
მეორე თავი	71
მართლწინააღმდეგობის პრობლემა საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით	71
მესამე თავი	111
პროფესიული ფუნქციის განხორციელება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება	111

შესავალი

ამ ბოლო დროს საბჭოურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებში, ერთი უცნაური და ფრიად საეჭვო აზრი დამკვიდრდა. რატომღაც მიჩნეულია, თითქოს მართლწინააღმდეგობას გამოირიცხავს მხოლოდ სამი გარემოება, ესენია: 1) აუცილებელი მოგერიება, 2) უკიდურესი აუცილებლობა და 3) დამნაშავის შეპყრობა. რაც შეეხება ისეთ გარემოებებს, როგორცაა მაგალითად, კანონის შესრულება, ბრძანების შესრულება, საკუთარი უფლების განხორციელება, დაზარალებულის თანხმობა, პროფესიული ფუნქციის შესრულება და სანარმოო რისკი, ესენი თითქოს სხვა იურიდიული ბუნების არიან. აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის და დამნაშავის შეპყრობისაგან განსხვავებით, ამ გარემოებების მართლზომიერება განისაზღვრება სახელმწიფო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, სამოქალაქო სამართლის და სამართლის სხვა დარგების ნორმებით.¹

ეს დებულება, რბილად რომ ვთქვათ, სრულიად დაუსაბუთებელია. რა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სამართლის რომელი ნორმებით განისაზღვრა ამა თუ იმ მოქმედების მართლზომიერება? როგორ შეიძლება ვამტკიცოთ, თითქოს აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა და დამნაშავის შეპყრობა, რომელთა მართლზომიერებას განსაზღვრავს სისხლის სამართალი, თავისი ბუნებით განსხვავდებიან იმ მოქმედებათაგან, რომელთა მართლზომიერება სისხლის სამართლის ნორმებით კი არა, სამართლის სხვა დარგების ნორმებით არის განსაზღვრული? თუ ყველა ეს მოქმედებები მართლზომიერია, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მათი იურიდიული ბუნებაც ერთნაირი ყოფილა?

სისხლის სამართლის კანონით ამა თუ იმ მოქმედების მართლზომიერად გამოცხადება სრულიად შემთხვევითი მოვლენაა, რაც, ცხადია, არ გამოირიცხავს იმ მოქმედებათა მართლზომიერებას, რომლებიც სისხლის სამართლის ნორმებით ასეთად ჯერ კიდევ არ არიან ცნობილი. მაგალითად, დამნაშავის შეპყრობა, რომელიც აქ განსახილველი მოსაზრების ავტორებს სრულიად სა-

1 Уголовное право, часть общая, М., 1966, стр.210, Советское уголовное право, Общая часть, М., 1974, стр.182 და სხვ.

მართლიანად მართლზომიერ მოქმედებად მიაჩნიათ, 1966 წლამდე სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ ყოფილა აღიარებული მართლწინააღმდეგობისა და საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებად, მაგრამ სასამართლო პრაქტიკა ამ მოქმედებას მართლზომიერად თვლიდა და ათავისუფლებდა მის ჩამდენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. მიუხედავად ამისა, არავის არ მოსვლია აზრად, რომ დამნაშავეს შეპყრობა თავისი იურიდიული ბუნებით აუცილებელი მოგერიებისაგან განესხვავებინა. პირიქით, რახან კანონში პირდაპირ არ იყო მითითებული, დამნაშავეს შეპყრობის, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკა ათავისუფლებდა მოქმედს პასუხისმგებლობისაგან აუცილებელი მოგერიების მუხლზე მითითებით. ამას მოითხოვს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი (იხ. ან გაუქმებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1955 წლის 23 ოქტომბრის №8 დადგენილება და ამჟამად მოქმედი 1969 წლის 4 დეკემბრის №11 დადგენილება, პ. 5). ბევრ კოდექსში, და მათ შორის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსშიც, დღესაც არ არის შეტანილი დამნაშავეს შეპყრობა, როგორც მართლზომიერი მოქმედება; ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ კანონის ანალოგიას და გავათავისუფლოთ პასუხისმგებლობისაგან პიროვნება აუცილებელი მოგერიების მუხლზე მითითებით. ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ დამნაშავეს შეპყრობა და აუცილებელი მოგერიება, როგორც უკვე ვთქვით, თავიანთი იურიდიული ბუნებით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან.

იგივე უნდა ითქვას პროფესიული ფუნქციის შესრულების მიმართაც. მოქმედ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როგორია იმ მოქმედების იურიდიული ბუნება, რომლითაც პროფესიული ფუნქცია ხორციელდება. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ საკითხით არ უნდა დაინტერესდეს ამ საქმის სპეციალისტი. საქმე ის კი არ არის, თუ სამართლის რომელი დარგი განსაზღვრავს პროფესიული ფუნქციის შესრულების მართლზომიერებას, არამედ გასარკვევია, თუ რა საფუძვლით უნდა გავათავისუფლოთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ადამიანი, რომელმაც ფაქტიურად ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა (ვთქვათ, სხეულის

დაზიანება), მაგრამ პროფესიულ ფუნქციას ახორციელებდა. ეს უკვე სისხლის სამართლის პრობლემაა. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, თუკი სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირ გვექნებოდა ჩანერილი, რომ პროფესიული ფუნქციის განხორციელება მართლზომიერია და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს. რახან ასეთი მუხლი არა გვაქვს, იძულებული ვართ სხვა გზას მივმართოთ, კერძოდ, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაშიც უნდა გამოვიყენოთ ანალოგიის პრინციპი და გავათავისუფლოთ ადამიანი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან უკიდურესი აუცილებლობის მუხლზე (საქართველოს სსრ 16 მუხ.) მითითებით, რადგან პროფესიული ფუნქციის შესრულება უფრო ემსგავსება უკიდურეს აუცილებლობას, ვიდრე აუცილებელ მოგერიებას.

იმ შეხედულების დამკვიდრებას, რომ პროფესიული ფუნქციის განხორციელება და სხვა მსგავსი მოქმედებები სისხლის სამართლის სფეროს არ განეკუთვნებიან, ერთი უარყოფითი შედეგი მოსდევს: ამ დებულებას ლოგიკურად მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებამ უნდა იკვლიოს მხოლოდ აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის და დამნაშავის შეპყრობის პრობლემები. რაც შეეხება სხვა გარემოებებს და, მათ შორის, პროფესიული ფუნქციის განხორციელებას, ისინი სამართლის სხვა დარგებმა უნდა შეისწავლონ. მართლაც, იმ სახელმძღვანელოებში, სადაც ხსენებული აზრია გატარებული, ავტორები იკვლევენ მხოლოდ აუცილებელ მოგერიებას, უკიდურეს აუცილებლობას და დამნაშავის შეპყრობას.

თუ ამ მცდარ მოსაზრებას დროზე არ გამოვაცლით საფუძველს და არ განვამტკიცებთ ტრადიციულ შეხედულებას, შედეგს მეტად სავალალოს მივიღებთ. ეს მცდარი აზრი მალე უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს პრაქტიკაზეც. დღევანდელ პირობებში, როცა ტექნიკური პროგრესის წყალობით მედიცინა, განსაკუთრებით კი ქირურგია, ჩქარი ნაბიჯებით მიდის წინ, როცა ორგანოების და ქსოვილების გადაწერვა ერთი ორგანიზმიდან მეორეზე ძლიერ გავრცელდა, ექიმმა, და არა მარტო ექიმმა, ნათლად უნდა იცოდეს, სად თავდება სამართალი და სად იწყება უმართლობა, რისი უფლება აქვს მას და რისი უფლება არა აქვს. ექიმმა უნდა იცოდეს არა მარტო ის, რას უკრძალავს მას ადმინისტრაციული, დისციპლინური თუ სამოქალაქო სამართალი, არამედ, უპირვე-

ლეს ყოვლისა, მას ნათელი წარმოდგენა უნდა გააჩნდეს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობაზეც, რომელიც ყველაზე უფრო მძიმე ტვირთად აწვება ადამიანს. როდესაც ექიმი პასუხისმგებლობის სფეროში სრულიად არის გარკვეული, მაშინ იგი თავისუფლად მოქმედებს, მაშინ მას მთელი სიგრძე სიგანით შეუძლია გაშალოს თავისი შემოქმედებითი ძალები. ექიმის თავისუფლება კი თავის მხრივ კეთილნაყოფიერ ზეგავლენას მოახდენს პაციენტთა ჯანმრთელობაზე... სისხლის სამართლის სფეროდან პროფესიული ფუნქციის საკითხის განდევნას შეუძლია ხელი შეუშალოს პრაქტიკულად იმ სასარგებლო საქმიანობის გაშლას და დანერგვას, რომელსაც ექიმები ეწევიან. იურიდიულ საკითხებში გაუთვითცნობიერებელი ექიმი ან მხდალია და ვერ გაბედავს ოპერაციის გაკეთებას იქ, სადაც ეს დასაშვებია და შესაძლებელია, ანდა უცოდინარობის გამო ჩაერევა იქ, სადაც ამას სამართალი კრძალავს და გამოიწვევს უაზრო მსხვერპლს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სამართლის სხვა დარგები ამ პრობლემას იშვიათად იკვლევენ. პასუხისმგებლობის პრობლემა სამართლის სხვა დარგებისათვის (ადმინისტრაციული სამართალი, სამოქალაქო სამართალი და სხვა), სისხლის სამართალთან შედარებით, უფრო კერძო პრობლემაა. სისხლის სამართალი სამართლის სხვა დარგებისაგან იმითაც განსხვავდება, რომ, უპირველეს ყოვლისა, იგი დაცვითი ფუნქციით ხასიათდება და მაშინ, როცა სამართლის სხვა დარგები სხვადასხვა სუბიექტთა შორის წარმოშობილ ურთიერთობებს არეგულირებენ, სისხლის სამართლის როლი და მნიშვნელობა პასუხისმგებლობის განსაზღვრით შემოიფარგლება. ერთი სიტყვით, სისხლის სამართლის ძირითადი დანიშნულება პასუხისმგებლობის განსაზღვრაა მაშინ, როცა სხვა დარგებისათვის ეს პრობლემა მხოლოდ ერთ-ერთი საკითხია. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის მეცნიერება ხომ ვერ დაელოდება, როდის გამოიკვლევენ ამა თუ იმ გარემოების მართლზომიერებას სამართლის სხვა დარგის სპეციალისტები? გარდა ამისა, სამართლის სხვა დარგის სპეციალისტები ხსენებული გარემოებების მართლზომიერებას სისხლის სამართლის თვალსაზრისით კი არ შეისწავლიან, არამედ იმ დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელსაც თვითონ ემსახურებიან. ამიტომ განა უაზრობა არ იქნებოდა ამ გარემოებების სისხლის სამართლის

სფეროდან გამოდევნა და მათი სამართლის სხვა დარგებში ასე ხელოვნურად და დაუსაბუთებლად გადატანა!

ამრიგად, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების საკმაოდ დიდ ჯგუფს დაუყონებლივ უნდა დაეუბრუნოთ შელახული რეპუტაცია და მიუჭინოთ ის ადგილი, რომელიც მათ სისხლის სამართალში ეკუთვნის.

პროფესიული ფუნქციის შესრულება ისევე, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი სხვა მსგავსი გარემოებები, მართლზომიერად ითვლებიან, მაგრამ აუცილებელია იმ საკითხის გარკვევა, თუ რის საფუძველზე ითვლებიან მართლზომიერად, რა ნიშნები ახასიათებთ მათ ისეთი, რომლებიც განსაზღვრავენ ამ მოქმედების სარგებლიანობას საზოგადოებისათვის. რა საკითხები წამოიჭრება ამ პრობლემატიკაში, რომელთა ასე თუ ისე გადანყვეტას მნიშვნელობა აქვს როგორც სისხლის სამართლის მეცნიერების, ისე სასამართლო პრაქტიკისათვის.

პროფესიული მოვალეობის შესრულების მართლზომიერება რომ განვსაზღვროთ, ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ვიცოდეთ, რა არის ქმედობის მართლწინააღმდეგობა. მართლწინააღმდეგობა და მართლზომიერება, სამართალი და უმართლობა, შეიძლება ითქვას, ერთი მედლის ორი მხარეა.

როგორც ცნობილია, სამართლის ამა თუ იმ დარგის და, მათ შორის, სისხლის სამართლის კანონმდებლობაც, ადგენს იმ ქმედობათა წრეს, რომლებიც სამართალს ეწინააღმდეგებიან; ამიტომ აუცილებელია მივმართოთ კანონმდებლობის ანალიზს და გამოვარკვიოთ, თუ რა ნიშნები განსაზღვრავენ ამა თუ იმ ქმედობის მართლწინააღმდეგობას. ერთი სიტყვით, უნდა გავარკვიოთ ქმედობის მართლწინააღმდეგობის არსი, რის შემდეგ შესაძლებელი გახდება იმ ნიშნების დადგენა, რომლებიც, ერთი შეხედვით თითქოსდა მართლწინააღმდეგო ქმედობას, მართლზომიერად აქცევენ.

მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მართლწინააღმდეგობის ცნებას. კანონი ზოგჯერ ხმარობს მხოლოდ გამოთქმებს „კანონწინააღმდეგო“, „უკანონო“ ტარება, „უკანონო ხმარება“, „წესების დარღვევა“ და სხვა. ამიტომ საჭიროა მივმართოთ სისხლის სამართლის თეორიას და კანონმდებლობის მონაცემების გამოყენებით დავადგინოთ, თუ რა მომენტები განსაზღვრავენ

ქმედობის მართლწინააღმდეგობას. ჯერ-ჯერობით ცნობილია, რომ მართლწინააღმდეგობა არის წინააღმდეგობა მოქმედებასა და სამართლის ნორმას შორის, ხოლო უმართლობა ეწოდება თვითონ მართლწინააღმდეგო მოქმედებას.

ცნობილია აგრეთვე, რომ მართლწინააღმდეგობა არის დანაშაულის ცნების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი; მაგრამ საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში თითქმის გაურკვეველია ან ძლიერ სადაოდ ითვლება ის საკითხი, თუ რა ნიშნები განსაზღვრავენ და აფუძნებენ ქმედობის მართლწინააღმდეგობას, როგორია მართლწინააღმდეგობის, როგორც დანაშაულის ცნების ერთ-ერთი ნიშნის დამოკიდებულება ბრალთან, რა ადგილი უკავია მართლწინააღმდეგობას დანაშაულის ცნების სისტემაში და სხვა. ამიტომ ჩვენი გამოკვლევაც სწორედ ამ საკითხების გარკვევით უნდა დავიწყოთ.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში მართლწინააღმდეგობა და საზოგადოებრივი საშიშროება დაუმუშავებელი პრობლემაა. ამ პრობლემის დამუშავებას კი განუზომელი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის და, არა მარტო სისხლის სამართლის, ბევრი სადავო საკითხის გარკვევისათვის; როგორც მკითხველმა უკვე იცის, სამართალი და უმართლობა ერთი მედლის ორი მხარეა. ჩვენს საუკუნეში, როცა სოციალური ცხოვრება, ძლიერ გართულებულია და ადამიანთა ურთიერთობის თითქმის ყველა მხარე სამართლის ნორმებით არის მოწესრიგებული, აუცილებელია იმ ზღვარის დადგენა, რომელიც სამართალსა და უმართლობას შორის გადის, აუცილებელია ზუსტად ვიცოდეთ, სად მთავრდება სამართლის სფერო და სად იწყება უმართლობა. ამ ზღვარის დადგენა კი ძნელია, თუ ჯეროვანი მეცნიერული სიღრმით არ იქნება შესწავლილი მართლწინააღმდეგობის პრობლემა.